



## სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

01 აპრილი 2026



N 209/ს

### ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

**შპს „სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო VI“-ის 10,9 მგვტ დადგმული სიმძლავრის ბუნებრივ ჩამონადენზე მომუშავე „ბახვი 1 ჰესის“ და 110 კვ ძაბვის ქვესადგურის ექსპლუატაციის პირობის ცვლილებაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ**

შპს „სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო VI“-ის მიერ „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ (შემდგომ – კოდექსი) შესაბამისად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული საქმიანობის ექსპლუატაციის პირობის ცვლილების შესახებ გარემოზე ზემოქმედების შეფასების (შემდგომ – გზშ) ანგარიშის წარდგენის საჭიროების დადგენის მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში (შემდგომ – სააგენტო), კოდექსის მე-5 მუხლის მე-12 ნაწილის საფუძველზე, წარმოდგენილი იქნა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული საქმიანობის ექსპლუატაციის პირობის ცვლილებაზე სკრინინგის განცხადება.

2022 წლის 27 ივნისს ჩოხატაურის და ოზურგეთის მუნიციპალიტეტებში შპს „სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო VI“-ის 10,9 მგვტ დადგმული სიმძლავრის ბუნებრივ ჩამონადენზე მომუშავე „ბახვი 1 ჰესის“ და 110 კვ ძაბვის ქვესადგურის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე გაცემულია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება (ბრძანება №163/ს).

სკრინინგის განცხადების თანახმად, ზემოაღნიშნული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული საქმიანობა გულისხმობს ჩოხატაურის და ოზურგეთის მუნიციპალიტეტებში, მდინარე ბახვისწყალზე, ზღვის დონიდან 1735-1383 მეტრ ნიშნულებს შორის, 10,9 მგვტ დადგმული სიმძლავრის ბუნებრივ ჩამონადენზე მომუშავე „ბახვი 1 ჰესის“ მშენებლობას, რომლის შემადგენელი ძირითადი ინფრასტრუქტურული ობიექტებია: სათავე ნაგებობა, სადაწნეო მილსადენი, ჰესის შენობა და 110 კვ ძაბვის ქვესადგური.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ფაქტობრივი მდგომარეობით, ჰესის სამშენებლო სამუშაოები აქტიურ ფაზაშია და სათავე ნაგებობის, ძალური კვანძის, ასევე სადაწნეო მილსადენის მშენებლობა ძირითადად დასრულებულია. სამშენებლო სამუშაოების მიმდინარეობის პროცესში გამოვლენილი ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, შპს „სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო VI“-ის მიერ მიღებული იქნა პროექტის ოპტიმიზაციის გადაწყვეტილება და გარემოზე ზემოქმედების რისკების შემცირების მიზნით, დაზუსტდა „ბახვი 1 ჰესის“ ნაგებობების და სამშენებლო ინფრასტრუქტურის საპროექტო გადაწყვეტები.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, პროექტის ოპტიმიზაციის შედეგად გათვალისწინებული ექსპლუატაციის პირობის ცვლილებით, სათავე ნაგებობამ პირვანდელი განთავსების ადგილიდან მცირედით (6-7 მეტრი) გადაინაცვლა მდინარე ბახვისწყლის მარჯვენა სანაპიროს მხარეს და შეიცვალა სათავე ნაგებობის შემადგენელი ინფრასტრუქტურული ობიექტების პარამეტრები. კერძოდ, დამბის სიმაღლე 4,4 მეტრიდან 6,9 მეტრამდე გაიზარდა, რის შესაბამისადაც შეიცვალა ნორმალური შეტბორვის დონე და შეტბორვის სარკის ზედაპირის ფართობი. გარდა ამისა, დაზუსტდა გამრეცხი ფარის და სალექარის პარამეტრები, ხოლო უქმი წყალსაშვის ფილის (წყალსაცემი) სიგრძე დამოკლდა 16 მეტრით. თევზსავალის სიგრძე და საფეხურების რაოდენობა (23-დან 25-მდე) გაიზარდა, ხოლო ეარლიფტის პრინციპზე მომუშავე თევზამრიდის ნაცვლად, წყალმიმღების წინ მოეწყობა წვრილი გისოსი, 15 მმ დიამეტრის ხვრეტებით, რაც თევზის წყალმიმღებში მოხვედრის ალბათობას მინიმუმამდე შეამცირებს. ამასთან, მცირედით შეიცვალა სადაწნეო მილსადენების პარამეტრები და დერეფნების მარშრუტი. კერძოდ, დაბალდაწნევიანი მილსადენი, არმირებული მინაბოჭკოვანი მილების ნაცვლად, ფოლადის მილებით მოეწყობა და მისი სიგრძე 3217 მეტრის ნაცვლად, 3215 მეტრი გახდება, ხოლო დიამეტრი 1300 მმ-ს ნაცვლად – 1400-1500 მმ. მაღალდაწნევიანი მილსადენის ამგები მასალა და დიამეტრი უცვლელი დარჩება, ხოლო სიგრძე, 598 მეტრის ნაცვლად, 610 მეტრი იქნება. გარდა ამისა, მცირედით შეიცვლება ჰესის შენობის და 110/35/10 კვ ძაბვის ღია ქვესადგურის ადგილმდებარეობა და პარამეტრები, ხოლო მათი განთავსების ნიშნულები საშუალოდ ერთი მეტრით ამაღლდა. კერძოდ, ჰესის შენობის გაბარიტები 40x16.2x15.8 მეტრის ნაცვლად, 40x16.2x13.25 მეტრი გახდება, ქვედა ბიეფის დონე, ზღვის დონიდან 1383 მეტრის ნაცვლად, 1380,5 მეტრი იქნება, ხოლო ღია ქვესადგურის ფართობი 4000 მ<sup>2</sup>-დან 2223 მ<sup>2</sup>-მდე შემცირდება. ჰესის შენობის ადგილმდებარეობის ცვლილებით, დაზუსტდა ტურბინის ღერძის ნიშნული და 1389,3 მეტრის ნაცვლად, 1386,5 მეტრი იქნება. ამასთან, „ბახვი 1 ჰესის“ მიერ გამოიმუშავებული წყალი ჩაშვებული იქნება „ბახვი 2ა ჰესის“ სალექარში, რისთვისაც 110 მეტრი სიგრძის და 1400 მილიმეტრი დიამეტრის ფოლადის მილსადენის მოეწყობა. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ „ბახვი 1 ჰესის“ თავდაპირველი პროექტით დაგეგმილი სამშენებლო ინფრასტრუქტურის მოწყობის ნაცვლად, „ბახვი 1 ჰესის“ მშენებლობისათვის „ბახვი 2 ჰესის“ სამშენებლო ბანაკები და სხვა ინფრასტრუქტურა იქნება გამოყენებული. შესაბამისად, „ბახვი 1 ჰესის“ სათავე ნაგებობის ზედა დინებაში სამშენებლო ინფრასტრუქტურის მოსაწყობად გათვალისწინებული ტერიტორიების გამოყენების საჭიროება აღარ დგას. გარდა ამისა, ვინაიდან „ბახვი 1 ჰესის“ მშენებლობის ეტაპზე წარმოქმნილი ფუჭი ქანები სრული მოცულობით იქნა გამოყენებული პროექტის მიზნებისთვის (ქვესადგურის და ჰესის შენობის ამაღლება, გზის ვაკისის მოსწორება და სხვა) ფუჭი ქანების განთავსებისათვის სანაყაროს მოწყობა აღარ იგეგმება. ამასთან, აღსანიშნავია, რომ პროექტის ოპტიმიზაციის შედეგად გათვალისწინებული ექსპლუატაციის პირობის ცვლილებით „ბახვი 1 ჰესის“ საპროექტო არეალი მხოლოდ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოექცა.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, ექსპლუატაციის პირობის ცვლილებით გათვალისწინებული ტერიტორია არქეოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების სიახლოვეს არ მდებარეობს და აგრეთვე, არ ხვდება დაცული ტერიტორიების საზღვრებში. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ექსპლუატაციის პირობის ცვლილებით გათვალისწინებული ტერიტორიის ნაწილი მოქცეულია სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე, ხოლო მდინარე ბახვისწყლის ჭალაში მოწყობილი დროებითი სამშენებლო გზა ხვდება გურიის ეროვნული პარკის საზღვრებში.

სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს კორესპონდენციის თანახმად, სკრინინგის განცხადებაზე თანდართული shp-ფაილით წარმოდგენილი 77 733 მ<sup>2</sup> ფართობიდან 54 066 მ<sup>2</sup> „სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 4 აგვისტოს №299 დადგენილებით

დამტკიცებული სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების მიხედვით, სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებული სახელმწიფო ტყის ტერიტორიას (ოზურგეთის სატყეო უბნის მთისპირის სატყეო კვარტალი №17, №19, №20, №21, №23) წარმოადგენს. ამასთან, სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე მდებარე 54 066 მ<sup>2</sup> ფართობი ნაწილობრივ ან სრულად ზედდებამია სახელმწიფო ტყის ფონდად რეგისტრირებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე, რომელთა ნაწილზე საქმიანობისთვის სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მიერ შპს „სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო“-ს და შპს „ბახვი 2“-ს მინიჭებული აქვს განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობის უფლება, ხოლო ტყეში მოხვედრილი მიწის ნაკვეთების მეორე ნაწილზე საქმიანობისთვის შპს „სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო VI“-ს ამ ეტაპზე ტყითსარგებლობის უფლების მინიჭებასთან დაკავშირებით სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოსთვის არ მიუძღვრება. შესაბამისად, აღნიშნული საკითხი სახელმწიფო ტყის მართვის უფლების მქონე ორგანოსთან შეთანხმებას საჭიროებს.

სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოს კორესპონდენციის მიხედვით, გურიის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე შპს „სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო VI“-ის მიერ მდინარე ბახვისწყალაზე 10,9 მგვტ სიმძლავრის „ბახვი 1 ჰესის“ ექსპლუატაციის სამუშაოების ჩატარებისთვის, სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოს 2025 წლის 25 თებერვლის №ო-39 ბრძანებით გაცემულია განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობის უფლება. მიზანშეწონილია, რომ პროექტის ფარგლებში სამუშაოების განხორციელებისას, მშენებლობის, ფუნქციონირების და შემარბილებელი ღონისძიების დროს მინიმუმამდე იქნას დაყვანილი გარემოზე უარყოფითი ზემოქმედება და გამოყენებული იქნას ის სტანდარტები, რომლებიც ითვალისწინებს დაცულ ტერიტორიებზე წარმოდგენილი ბიომრავალფეროვნების დაცვა-შენარჩუნებას.

სკრინინგის განცხადების შესწავლით დგინდება, რომ პროექტის ოპტიმიზაციის შედეგად გათვალისწინებული ექსპლუატაციის პირობის ცვლილება განხორციელდა საქმიანობის გზშ-ის ეტაპზე შესწავლილ არეალში, სადაც დეტალურად შეფასებულია გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედება და განსაზღვრულია შესაბამისი პრევენციული/შემარბილებელი ღონისძიებები. ამასთან, მხედველობაშია მისაღები, რომ ცვლილებების შედეგად, პროექტის მიერ ასათვისებელი ტერიტორიის ფართობი, საქმიანობის გზშ-ის ეტაპზე განსაზღვრულ ფართობთან შედარებით, შემცირებულია. აგრეთვე, გარემოზე ზემოქმედების პოტენციალის მქონე ცალკეული ინფრასტრუქტურის (მათ შორის, სამშენებლო ბანაკი, სანაყარო და სხვა) მოწყობა აღარ იგეგმება. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპლუატაციის პირობის ცვლილება გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე მოსალოდნელი ზემოქმედების გაზრდასთან დაკავშირებული არ იქნება.

კოდექსის მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება გამოქვეყნდა გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და გადაიგზავნა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიაში, საინფორმაციო დაფაზე განთავსების მიზნით. სკრინინგის განცხადების განხილვის ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე საზოგადოების მხრიდან სკრინინგის განცხადებით გათვალისწინებულ საქმიანობასთან დაკავშირებით (ექსპლუატაციის პირობის ცვლილება) წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები სააგენტოში წარმოდგენილი არ ყოფილა.

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ექსპლუატაციის პირობის ცვლილების კოდექსით განსაზღვრული კრიტერიუმებით შეფასების მიხედვით, კოდექსის მე-5 მუხლის მე-12 ნაწილისა და მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის საფუძველზე,**

## ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნას სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ შპს „სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო VI“-ის 10,9 მგვტ დადგმული სიმძლავრის ბუნებრივ ჩამონადენზე მომუშავე „ბახვი 1 ჰესის“ და 110 კვ ძაბვის ქვესადგურის ექსპლუატაციის პირობის ცვლილება გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული საქმიანობის ექსპლუატაციის პირობის ცვლილების შესახებ გზშ-ის ანგარიშის წარდგენას არ საჭიროებს.
2. შპს „სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო VI“ ვალდებულია, რომ საქმიანობა განახორციელოს 2022 წლის 27 ივნისს გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით (ბრძანება №163/ს) განსაზღვრული პირობების შესაბამისად, წარმოდგენილი ექსპლუატაციის პირობის ცვლილების გათვალისწინებით.
3. შპს „სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო VI“ ვალდებულია, რომ სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან არაუგვიანეს 2 თვის ვადაში, წარმოდგენილი ექსპლუატაციის პირობის ცვლილების გათვალისწინებით, უზრუნველყოს სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე საქმიანობის სსიპ ეროვნულ სატყეო სააგენტოსთან შეთანხმება.
4. შპს „სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო VI“-სთვის ზემოაღნიშნული პირობა წარმოადგენს 2022 წლის 27 ივნისს გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით (ბრძანება №163/ს) განსაზღვრული პირობების განუყოფელ ნაწილს და მათი შესრულება სავალდებულოა.
5. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს შპს „სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო VI“-ს.
6. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო VI“-ს მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე.
7. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე.
8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ელენე ლუბიანური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

<https://edocument.ge/mea/public/#/209-21-4-202604011235>

